მათ ისახელეს თავი

საახალწლო ნოგათი

ვალდებულებანი შესრულებულია!

რუსთავი, 24 დეკემბერი. (საქდესი). რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივმა —შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მეტალურგთა შეჯიბრების ინიციატორმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი. შვიდ წელიწადში საამქრომ რამდენიმე ათეული ათასი ტონა ზეგეგმითი ფოლადი გამოადნო. შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება 12 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

დიდ შრომითს წარმატებას მიაღწია მიხეილ სპანდარაშვილმა. ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ნადნობის 75 პროცენტი ჩქარლსნული მეთოდით გამოუშვა. ღუმელის ქვედის თითოეული მეტრიდან ბრიგადა ნორმით გათვალისწინებულზე 1.020 კილოგრამით მეტ ფოლადს იღებს.

კარგად მუშაობენ ოთარ ბექაიას, იური გურგენიძის, გრიგოლ ბერეკაშვილის, ილარიონ ტაბატაძის ბრიგადები. თითოეული მათგანის ანგარიშზე ასობით ტონა ზეგეგმითი ლითონია.

ვალდამდე

თბილისის ტყავის № 2 ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში, წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა და იანვრის წლის ბოლომდე სამშობლოს დამატებით მისცეს 3 მილიონი კვადრატული დეციმეტრი მაღალხარისხოვანი ტყავი.

ჩაის მრეწველობამ შეასრულა წლიური გეგმა

„საქართველოს ჩაის“ ტრესტის საწარმოებმა ვადამდე, 25 დეკემბრისათვის შეასრულეს პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. გამოშვებულია 45.420 ტონა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაი, რაც დავალების 100,9 პროცენტს შეადგენს.

წლიური გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 420 ტონა ბაიხაო ჩაი. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე მწვანე აგურა ჩაიხათვის ლაო ჩაის წარმოების დავალება.

წლის ბოლომდე ჩაის მრეწველობა გეგმის გადაჭარბებით აწარმოებს ორი მილიონი მანეთის მზა პროდუქციას — დაფასოებულ და ფილა ჩაის.

სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ხელვაჩაურის (დირექტორი ა. მამულაიშვილი), მახარაძის № 1 (დირექტორი ბ. ლეჟავა), ცხაკაიას (დირექტორი ო. შალამბერიძე), ზუგდიდის № 1 (დირექტორი შ. ჩილაჩავა), ჩოხატაურის № 2 (დირექტორი მ. ფლენტი) ჩაის ფაბრიკების, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის (დირექტორი მ. სარჯველაძე) და ჩაის მრეწველობის სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. (საქდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგრეთვე ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების საბითუმო ფასების შესახებ“.

ამ დადგენილების შესაბამისად, დაწყებული 1966 წლის 1 იანვრიდან, სატვირთო ავტომობილები, ტრაქტორები, მისაბმელები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიეყიდებათ მრეწველობისა და სხვა მომხმარებელთათვის მოქმედ საბითუმო ფასებში.

ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები, პლასტიკური მასების, რეზინისა და აზბესტის ნაკეთობანი და დეტალები 1966 წლის 1 იანვრიდან ყველა მომხმარებელს მიეყიდება საბითუმო ფასებში, ნაცვლად ამ სახეობათა პროდუქციის მოქმედი ერთიანი საბითუმო ფასებისა.

1966 წლის 1 იანვრიდან სალტეების, ელექტრომოწყობილობის, ხელსაწყოებისა და საბობინა აპარატურის ერთიანი საბითუმო ფასები ნაცვლად 20 პროცენტით და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებისა — საშუალოდ 10 პროცენტით.

კოლმეურნეობებს მსუბუქი ავტომობილები მიეყიდებათ საბითუმო ფასებში.

სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკოფლტექნიკას“ უფლება ეძლევა დამატკიცოს და 1966 წლის 1 იანვრიდან შემოიღოს ტრაქტორების, კომბაინებისა და ძრავების კაპიტალური რემონტის ახალი დროებითი ზოლობრივი ფასები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს ევალება 1966 წლის 1 იანვრიდან დამტკიცოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალ სახეობათა ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგრეთვე მათი სათადარიგო ნაწილების მუდმივი საბითუმო ფასები, როცა გადაწყდება მათი სერიული წარმოება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს უფლება ეძლევა შეამციროს იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგრეთვე მათი სათადარიგო ნაწილების საბითუმო ფასები, რომლებზეც ნაკლები მოთხოვნილებაა, ან რომელთა საექსპლოატაციო მაჩვენებლები (წარმადობა, მუშაობის სარემონტოაშორისო ვადა და სხვ.) საბითუმო ფასების დამტკიცების დროს გათვალისწინებულზე ნაკლებია, და ამ შემცირების შედეგად მოლებული თანხები დააწეროს ორგანიზაციებს, რომლებმაც რეკომენდაცია მისცეს ამ მანქანების სერიულ წარმოებას, ან დამამზადებელ საწარმოს.

ამ ღონისძიებათა განხორციელება საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ერთ წელზე გაანგარიშებით მოუტანს 450 მილიონ მანეთამდე ეკონომიურ სარგებლობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სოფლებს—თავიანთი სასპორტო ბაზები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სოფლად ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის კომპლექსური სასპორტო ბაზებისა და ნაგებობათა შექმნის შესახებ და აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობა გაწეული სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვისათვის. ფიზკულტურული მუშაობის ფართო განვითარება სოფლად კარგ გავლენას ახდენს შრომითი აქტივობის გადიდებაზე, სოფლის ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაზე. საქართველოს 840 ათასი ფიზკულტურელიდან 240 ათასი სოფლელია. რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენები სულ უფრო ხშირად გამოდიან საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე, ბევრი სახეობის სპორტში იკავებენ საპრიზო ადგილებს.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის სოფლებში არსებული სასპორტო ბაზები და ნაგებობანი მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ მთელი სოფლის ახალგაზრდობის მზარდ მოთხოვნას, რომელსაც სურს რეგულარულად იყოს ჩაბული ფიზიკურ კულტურასა და სპორტში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზნიუნების კოლმეურნეთა, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა და სხვათა ინიციატივა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კომპლექსური სასპორტო ბაზებისა და ნაგებობათა საკუთარი სახსრებით მშენებლობის შესახებ და სოფლად მასობრივი ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარების შესახებ.

რესპუბლიკის კოლმეურნეობათა გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს რეკომენდაცია მიეცათ გაანხილონ აღნიშნული ინიციატივა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საერთო კრებებზე, დასახონ ღონისძიებანი სასპორტო ნაგებობათა მშენებლობისა და მასობრივ ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებმა და რაიკომებმა, აფხაზეთისა და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომმა, რაიაღმასკომებმა მხარი უნდა დაუჭირონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივას იმ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, რომლებიც ითვალისწინებენ სოფლად მასობრივი ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობის შემდგომ განვითარებას, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მათ სასპორტო ბაზებისა და ნაგებობათა მშენებლობისათვის ადგილობრივ შესაძლებლობათა გამონახვასა და გამოყენებაში.

საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირი ვალდებულია კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოს ტიპობრივი პროექტებით სტადიონების, სასპორტო დარბაზების, საცურაო აუზებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობისათვის.

ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილებას და სოფლის მეურნეობის განყოფილებას. (საქდესი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ზამბიის რესპუბლიკის კეთილი ნების მისია

24 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ზამბიის რესპუბლიკის კეთილი ნების მისია, რომლის შემადგენლობაში არიან ფინანსთა მინისტრი ა. ვინა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ე. მუდენდა. ზამბიის მისიას ახლავს ზამბიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. მვაანგა.

გულთბილი და გულახდილი საუბრის დროს ერთმანეთს აზრები გაუზიარეს საბჭოთა კავშირ-ზამბიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, განსაკუთრებით იმ საკითხზე, რომ ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი ზიმბაბვეს ხალხს თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის სამართლიან ბრძოლაში. (საკდესი).

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო ზამბიის რესპუბლიკის კეთილი ნების მისია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 24 დეკემბერს კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი ზამბიის რესპუბლიკის კეთილი ნების მისია ფინანსთა მინისტრის ა. ვინასა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ე. მუდენდას შემადგენლობით.

ნ. ვ. პოდგორნის გადასცეს ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კ. კაუნდას პირადი წერილი.

შეხვედრის დროს გაიმართა საუბარი, რომელსაც გულთბილი, მეგობრული ხასიათი ჰქონდა. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 24 დეკემბერს მიიღო მოსკოვში ჩამოსული ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სარდარ სვარან სინგჰი, რომელსაც ახლდა ინდოეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ტ. ნ. კაული.

ა. ნ. კოსიგინსა და სარდარ სვარან სინგჰს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი ურთიერთსაინტერესო საკითხებზე. საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. (საკდესი).

სოლიდარობა და დახმარება ბრძოლაში

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ

6-22 დეკემბერს საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაცია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ლე თხან ნგის მეთაურობით.

მოსკოვში ვიზიტის დროს ლე თხან ნგი გულთბილად და მეგობრულად ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

მოლაპარაკების დროს, რომელიც ძმური მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები.

მოლაპარაკების შედეგად მხარეებმა დადეს შეთანხმება, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირი კვლავაც გაუწევს ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. დადო აგრეთვე შეთანხმება 1966 წელს საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამს შორის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ დახმარებას უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ამასთან ითვალისწინებს მოთხოვნილებებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის დროს წარმოიშვა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაცია დიდად აფასებს მრავალმხრივ დახმარებას, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. ვიეტნამელი ხალხის სახელით დელეგაციამ გულითადად მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და მთელ საბჭოთა ხალხს ამ დიდმნიშვნელოვანი და ეფექტიანი დახმარებისთვის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში, ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიური მხარდაჭერისათვის.

21 დეკემბერს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა საუზმე გამართა. საუზმეზე სიტყვა წარმოთქვა ვ. ნ. ნოვიკოვმა, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით მიულოცა ვიეტნამელ მეგობრებს მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება და შეთანხმებათა დადება. საბჭოთა ხალხი, თქვა მან, კვლავაც განუხრელად და ყოველმხრივ დაეხმარება და დაუჭერს მხარს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებაში.

საპასუხო სიტყვაში ლე თხან ნგიმ თქვა, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება და განვითარება ხელს შეუწყობს არა მარტო იმას, რომ ახალ პირობებში კიდევ უფრო წინ წაიდეს სოციალიზმის მშენებლობის საქმე რრდილოთ ვიეტნამში, არამედ იმასაც, რომ გაიზარდოს ეკონომიური და სამხედრო პოტენციალი ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, სამშობლოს ხსნისათვის ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის ამ გადამწყვეტ ისტორიულ ეტაპზე.

ლე თხან ნგიმ განაცხადა, რომ როგორც ჩრდილოთში, ისე სამხრეთში მცხოვრები ვიეტნამელი ხალხი, რაც უფრო დიდხანს იბრძვის, მით უფრო ძლიერი ხდება და ყოველდღე სულ ახალ და ახალ დიდ გამარჯვებას აღწევს. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ბოლომდე ვიბრძოლოთ და დავამარცხოთ ამერიკელი აგრესორები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვიეტნამელი ხალხის სახელით გულწრფელი მადლობა გადაუხადა დიდ საბჭოთა ხალხს სიმპათიისა და დიდი დახმარებისათვის. მთელი ჩვენი ხალხი, თქვა მან, სიხარულითა და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ახალი ფორმებით ჩაღდება ფართო კამპანია ვიეტნამის მხარდასაჭერად, ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული ომის წინააღმდეგ. მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ ამჟამად მოსკოვში, ბევრ ქალაქსა და სოფელში საბჭოთა ხალხი აწყობს მიტინგებსა და კრებებს ვიეტნამის მხარდასაჭერად, ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული ომის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს გადასცეს საპროტესტო რეზოლუცია და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოსა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენლობას განუცხადეს, რომ სიმპათიით ეკიდებიან და მხარს უჭერენ ჩვენს ხალხს. ეს კამპანია, რომელიც სულ უფრო ფართოდ ჩაღდება, უეჭველია მრავალმხრივ შეგიწყობს ხელს.

დახმარება, რომელსაც კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხი უწევენ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას, აღაფრთოვანებს ჩვენს ხალხს და დიდ ძალას მატებს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, სამშობლოს ხსნისათვის ბრძოლაში. ახლანდელი შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დახმარებასა და ეკონომიურ თანამშრომლობას ჩვენს ქვეყნებს შორის, დიდად უწყობენ ხელს ჩვენი ხალხის ბრძოლას და აქტიური წვლილი იქნება ჩვენი ქვეყნების ხალხთა საბრძოლო შეკავშირების განმტკიცებასა და განვითარებაში, საერთო რევოლუციურ საქმეში.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ვიეტნამელი ხალხის სახელით ლე თხან ნგიმ გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და მომძმე საბჭოთა ხალხს სამმაგიანი, მხარდაჭერისა და დიდი დახმარებისათვის, რომლებიც გამსჭვალულია კეთილშობილური პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. მან ისურვა, რომ კვლავაც განმტკიცდეს და განვითარდეს ვიეტნამელი და საბჭოთა ხალხების შეკავშირება, მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა. დელეგაციის მეთაურმა საბჭოთა ხალხს უსურვა ბრწყინვალე წარმატებანი კომუნიზმის აშენების საქმეში. (საკდესი).

ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელთა ნარმატება

ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებმა, რომლებმაც შეჯიბრება გააჩაღეს სკკპ XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. მათ ვადამდე, 24 დეკემბერს შეასრულეს დატვირთვისა და ტვირთის გაგზავნის წლიური გეგმა. შვიდწლიდან უკანასკნელ წელს მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს ვაგონთა ბრუნვის დასაჩქარებლად და ლოკომოტივების სამძღვავრთა სრული გამოყენებისათვის. გადიდებულია მატარებლების წონა, გაუმჯობესებულია მანქანების მოვლა და რემონტის ხარისხი, შემცირებულია ლოკომოტივების არამწარმოებლური მოცდენა. ამის შედეგად დიდი გადაჭარბებით შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების დავალება, მიღებულია 4,5 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება.

კომუნისტური შრომის მაგისტრალისათვის ფართოდ გამლილ შეჯიბრებას სულ უფრო საგრძნობი შედეგები მოაქვს. ამ პატრიოტულ მორბრობაში მონაწილეობს რკინიგზელთა 75 პროცენტი. მაღალი წოდება უკვე მოიპოვა 1.600-ზე მეტმა ბრიგადამ და საამქრომ. კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მიენიჭა 29 ათას მუშაკს. სასიხარულოა აღვნიშნოთ, რომ მაგისტრალის 50-მდე კოლექტივი კომუნისტური შრომის საწარმო გახდა. სამტრედიის სადგურნი დეპო, სოხუმის ვოგზალი, ბაქოს ვაგონსარემონტო ქარხანა, ლენინაკანის სადგურის სალოკომოტივო დეპო, ნახჩივანის სალოანდაგო დისტანცია და სხვები ღირსეულად ატარებენ ამ მაღალ წოდებას.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ფოლადის მაგისტრალების მშრომელებმა, რომლებმაც საფუძვლიანად შეისწავლეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სეპტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, გადასინჯეს ნაკისრი ვალდებულებანი და ახალი რეზერვები გამონახეს სკკპ XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მათ ვალდებულება იკისრეს ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად წლის ბოლომდე ნორმის გადაჭარბებით დატვირთონ და გადაზიდონ 1.300 ათასი ტონა ნავთობი, ქვანახშირი, მადანი, საშენი მასალა, ქიმიური, სასოფლო-სამეურნეო ტვირთი და ახალი ნამეჯი გადადგან რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შედეგომი აღმავლობის გზაზე. (საქდესი).

დოლი დაიწყო

სიღნაღი. (საკ. კორ.). ალაზნის ველი მარტო ზვრებითა და სახნავ-სათესი ფართობებით როდია ცნობილი. ამ ზამთრობით უმრავლეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ცხვარი ძოვს. ახლა ყველგან გაჩაღებულია დოლისათვის მზადება. ზოგან კი უკვე დაიწყო.

ძველი ანაგის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ამ ბრიგადაში, რომელსაც ცნობილი მეცხვარე გიორგი მეფლიშვილი ხელმძღვანელობს, 5 დღე დაიწყო დოლი. უკვე მოლებული და შენარჩუნებულია პირველი 95 ბატკანი. მეცხვარეებმა შარნაოზ, ივანე და აბრია გეგიაშვილმა ვალდებულება იკისრეს ყოველ 100 ნერგზე მიიღონ და გაზარდონ 100 ბატკანი და ახალი წარმატებებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აბულაძე** შალვა გიორგის-ძე — გორის რაიონის სოფელ ფხვენისის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.
2. **ბაბილუა** ვლადიმერ ლუკას-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
3. **გამხიტაშვილი** ოთარ სერგოს-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
4. **ზურაბაშვილი** ალეოზ გიორგის-ძე — გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე.
5. **კოლაბერიძე** ნიკოლოზ გიორგის-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს მთავარი მექანიკოსი.
6. **კირვალიძე** მიხეილ სიმონის-ძე — გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის პროექტის მთავარი ინჟინერი.
7. **მარიამიძე** ზაქარია ცაკას-ძე — გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების მერეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
8. **მელიქიძე** ერმალოზ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს ღურგალი.
9. **ულმობელაშვილი** გოდერძი ალექსეს-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს მეარმატურე.
10. **ყიასაშვილი** შალვა ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს უფროსი.
11. **შატაკიშვილი** სარდიონ ზაქარიას-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს ბრიგადირი.
12. **ჩიხლაძე** პიმენ ნიკოლოზის-ძე — გორის რაიონის სოფელ ტყვავის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.
13. **ჩუბინიშვილი** ნიკოლოზ გიორგის-ძე — გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარე.
14. **ჩუბინიძე** ალექსი ალექსის-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს მებულდოზერე.
15. **ჭოველიძე** ვასილ ზაქარიას-ძე — გორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო წყალსადენის მშენებლობის კომიტეტის მძღოლი.
16. **ჯალაბაძე** გაიოზ იოსების-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს მუშა.
17. **ჯოჯიშვილი** გიორგი ვლადიმერის-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამმართველოს მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 23 დეკემბერი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

20 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოს მრჩეველ-დესპანს ტ. ბირმელოუს ინგლისის მთავრობისათვის წარსადგენად გადასცეს საბჭოთა პროექტი ლაოსის საკითხის მოწესრიგების შესახებ ჟენევის თათბირის თანათავმჯდომარეთა ერთობლივი წერილისა ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარისადმი, რომელშიც ნათქვამია:

„ლაოსის საკითხის მოწესრიგების შესახებ ჟენევის 1962 წლის თათბირის თანათავმჯდომარენი ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარის ყურადღებას მიაპყრობენ იმ ფაქტს, რომ 1965 წლის სექტემბერში პოლონეთის წარმომადგენლის მონაწილეობის მიუღებლად შედგინეს № 35 მოხსენება, რომელიც გაეგზავნა თანათავმჯდომარეებს. ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა დებულებებს. ლაოსის ნეიტრალიტეტის დეკლარაციის ოქმის მე-14 მუხლის თანახმად კომისიის დასკვნებს დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ეგზავნება ორ თავმჯდომარეს, და კომისიის ყველა რეკომენდაციას ერთხმად იღებენ.

თანათავმჯდომარეებს საჭიროდ მიაჩნიათ აღნიშნონ, რომ კომისიის მეცადინეობა სასარგებლო შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა კომისია მოქმედებს ჟენევის შეთანხმებათა ზუსტი შესაბამისობით. ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის ერთხმად მიღებულ მოხსენებებს, როგორც ცნობილია, თანათავმჯდომარეები უგზავნიდნენ ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა მონაწილე ქვეყნების მთავრობებს. ის, რომ კომისიამ დაარღვია აღნიშნული პრინციპი, არყევს მის ავტორიტეტს და ხელს არ უწყობს იმ ფუნქციათა შესრულებას, რომლებიც მას დაეკისრა ჟენევის თათბირმა.

თანათავმჯდომარენი გამოთქვამენ იმედს, რომ ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისია ზუსტად შეასრულებს თავის ფუნქციებს ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის შეთანხმებათა შესაბამისად.

* * *

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს კანადის ელჩს სსრ კავშირში რ. ფორდს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაუკეთეს განცხადება იმ შეთანხმების გამო რაც მიღწეულია კანადასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის იმის შესახებ, რომ დასავლეთ გერმანიის სამხედრო სპეციალისტები კანადის ტერიტორიაზე — მანიტობის პროვინციის კეპშაიოლოს პოლიგონზე და ფორტ ჩერჩილში ზამთრის პირობებში მოაწყობენ სხვადასხვა შეიარაღების გამოცდას და შეასწავლიან ბუნდესვერის ნაწილებს რაკეტებისა და სხვა თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ხმარებას. კერძოდ, გათვალისწინებულია გამოსცადონ „ლეოპარდის“ ტიპის ტანკები, ტანკსაწინააღმდეგო მოძრავი რაკეტული დანადგარები, „ბლეკ ბრანტის“ რაკეტები, ჯავშანტრანსპორტიორები და სხვ.

განცხადებაში მოყვანილია კანადასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერების სხვა ფაქტებიც და ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია: კანადა რომ ტერიტორიას უთმობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას სხვადასხვა სახეობის სამხედრო იარაღის გამოსაცდელად, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კანადა ხელს უწყობს და მხარს უჭერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარისტულ და რევანშისტულ ძალებს, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ მეორე მსოფლიო ომის შედეგების რევიზია და ამ მიზნით ახორციელებენ ფართო სამხედრო მზადების პროგრამას.

ასეთი მოქმედება, აღნიშნულია განცხადებაში, ხელს უწყობს დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის გაძლიერებას, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც დაკისრებული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ

ე. მ. ჯაფარიძის საგოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე საბიუჯეტო კომისიის დასკვნისა და გამოსული დეპუტატების წინადადებებმა სრული მხარდაჭერა მოიწონება პოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტმა.

დეპუტატები თავიანთ გამოსვლებში აღნიშნავდნენ, რომ გეგმის პროექტი შედგენილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდინარე წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად და შეესაბამება მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანებს.

საბიუჯეტო კომისიამ, კამათში გამოსულმა დეპუტატებმა და ამხანაგებმა ბევრი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს საწარმოთა სიმძლავრეთა გამოყენების და შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულ ღონისძიებებზე. ასეთი ღონისძიებებით მატერიალური და ფინანსური რესურსების გამონაზოგი, ცალკეული სახეობის პროდუქციის გამოშვებისა და საკონსელბრიფის გაფართოების, მშენებლობის დაჩქარებისა და სხვათა შესახებ. ნება მიბოძეთ მოკლედ შეგეხო ამ საკითხებს.

დეპუტატებმა ეარდოშვილმა, მანკგალაძემ, პაატაშვილმა, ლაშქარაშვილმა, კობერიძემ, ყანჩაველმა, ალბ. ისმაილოვმა და სხვებმა დააყენეს საკითხი ახალი ობიექტების მშენებლობის და არსებულის გაფართოების შესახებ. კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობის გადიდების საშუალება არ მოიძებნება. მიმდინარე წელთან შედარებით კაპიტალური დაბანდებების მომავალი წლის გეგმა დიდდება 38 მილ. მანეთით, ე. ი. 10 პროცენტით. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი მშრომელი ორგანიზაციების სიმძლავრეებს, 1966 წელს უფრო მეტი მოცულობის კაპიტალური დაბანდებების შესრულების შესაძლებლობა ჩვენ არ გვაქვს. საბოლოოდ, როგორც მშენებელმა ორგანიზაციებმა, ასევე დამკვეთებმა, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მომავალი წლის პირველი დღიდან მობილიზაცია გაუკეთონ ყველა რესურსებს და წარმატებით შეასრულონ გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებები როგორც მოცულობით, ისე საწარმოო სიმძლავრეების მიხედვით, საცხოვრებელი ფართობისა და ცალტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა ობიექტების ექსპლოატაციაში შეყვანის გეგმაც.

დეპუტატებმა მინკუბამ და გასიევმა დააყენეს საკითხი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ავტომობილების ფონდების გადიდებისა და სათადარიგო ნაწილებით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ. უნდა ოქვახსენოთ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ანაწილებს ცალკე სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით. საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა და „საქსოფლტექნიკამ" გათვალისწინონ ადგილობრივი ინიციატივა ადგილობრივ ბაზებზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოთხოვნილებანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ავტომობილებით და სათადარიგო ნაწილებით, მათ შორის სამრეო მიწათმოქმედების ტექნიკით უზრუნველყოფის შესახებ.

დეპუტატმა გელაშვილმა დააყენა საკითხი: მცირეძალოვანი კოლმეურნეობების მომსახურება მოეწყოს „საქსოფლტექნიკის" სატარაქტორო რაზმების საშუალებით; გაუმჯობესდეს ვენახის რკინაბეტონის ბოძების ხარისხი, შემცირდეს გასაყიდი ფასი და მოწესრიგდეს შაბიამნის გაყიდვის საქმე.

დეპუტატ გელაშვილის წინადადება საკუთრებით სწორია, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ" უნდა აღჭურვოს სატრაქტორო რაზმები ტექნიკით. ამ მიზნით 1966 წელს გამოყოფილია საჭირო რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და თანხები. აღნიშნულმა რაზმებმა პირველ რიგში უნდა შეასრულონ სატრაქტორო და სხვა სამუშაოები მცირეძალოვან კოლმეურნეობებში. ვენახისათვის რკინაბეტონის ბოძების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ მიღებულია ზომები. შესწავლილი იქნება აგრეთვე ამ ბოძების გაიაფების საკითხიც.

1966 წლიდან შაბიამნის გაყიდვას მოსახლეობაზე განახორციელებს სამომხმარებლო კოოპერაცია დაფასოებული სახით, ხოლო კოლეტურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობებზე რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა". ამით თავიდან იქნება აცილებული ის ზოგიერთი გაუგებრობანი, რომელსაც დღემდე ადგილი ერნდა.

დეპუტატებმა შინკუბამ, ყანჩაველმა, სახაროვმა, ამხანაგებმა ისმაილოვმა და ალიევმა დასვეს საბელიორაციო და საირიგაციო სამუშაოთა გაფართოების საკითხი. ეს ფრიად საყურადღებო საკითხია, როგორც ბოგახსენეთ 1966 წელს გათვალისწინებულია ამ მიმართულებით კაპიტალური დაბანდებანი 29 მილ. მანეთის მოცულობით, ნაცვლად მიმდინარე წლის 26,1 მილ. მანეთისა. ეს თანხები ძირითადად მიმართულია დაწყებული ობიექტების დასამთავრებლად.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს განიხილავს აღნიშნულ საკითხებს და შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებს მათ.

ამხანაგ ბუხრაშვილის მიერ სწორად არის დასმული საკითხი თბილისში სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის შეზღუდვის შესახებ. უკანასკნელ წლებში სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა თბილისში მკვეთრად შემცირდა. შემდგომში, ახალ საწარმოთა მშენებლობის საკითხი თბილისში ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სპეციალურად იქნება განხილული და მიღებული სათანადო გადაწყვეტილება.

საქალაქო საბჭოსთან საბინაო კოოპერაციული და საადგილო მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის სამმხრეთელოს და მასთან მშენებელი ორგანიზაციის შექმნის საკითხი საყურადღებოა და მოითხოვს სპეციალურ შესწავლას. რისოვისაც საჭიროა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დაამუშაოს ღონისძიებანი და წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

სასკოლო, საბავშვო დაწესებულებების, საქვაბე მეურნეობების და სხვა მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში სამრეწველო საწარმოთა წილობრივი მონაწილეობა მოითხოვს რიგ საკითხების დაზუსტებას, ამიტომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტი სათანადო სამინისტროებთან ერთად შეისწავლის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დასმულ საკითხებს და წარუდგენს მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

დეპუტატმა ცქვიტინინიძემ და ამხ. ბუხრაშვილმა დააყენეს საკითხი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და ბროკერების გაუმჯობესების შესახებ. აღნიშნული საკითხი სერიოზული ყურადღების ღირსია, ის განხილული უნდა იქნას უმოკლეს ვადაში საქართველოს „სახმშენის" მიერ, რათა მაქსიმალურად გამოყენებული იქნას მოსახლეობის დანაზოგი თანხები საბინაო მშენებლობის ფართოდ გასაშლელად.

დეპუტატებმა: შინკუბამ, გელაშვილმა და ამხანაგებმა დავითაძემ და ისმაილოვმა წამოაყენეს საკითხი ადმინისტრაციული სახლების მშენებლობისა და აგრეთვე სასოფლო საბჭოების შენობებისათვის საათანადო თანხების გამოყოფის შესახებ. ადმინისტრაციული სახლების მშენებლობის საკითხი განხილული იქნება ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს. რაც შეეხება სასოფლო საბჭოების შენობების აგების საკითხს, საკავშირო ორგანოების დადგენილებით, ნებადართულია ამ მიზნისათვის ბიუჯეტის ბრრბი შემოსავლების გამოყენება. რაიონულმა საბჭოებმა უნდა გამოიყენონ ეს უფლება, მოიყვანონ წესრიგში სასოფლო საბჭოების შენობები და საჭიროების შემთხვევაში ააგონ ახალი. საშენი მასალებით სათანადო დახმარებას მათ აღმოუჩენს საგეგმო კომიტეტი.

დეპუტატებმა: გელაშვილმა, გასიევმა, ცქვიტინინიძემ, მანკგალაძემ, და ამხანაგებმა დავითაძემ და ისმაილოვმა დასვეს საკითხი საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური მომსახურების ობიექტების მშენებლობისათვის დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ.

დეპუტატების საყურადღებოდ უნდა განვაცხადო, **რომ** საბინაო მშენებლობაზე კაპიტალური დაბანდებები გასულ წელთან შედარებით იზრდება 6,0 პროცენტამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით მიღებული ზომები საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის დამატებითი თანხების გამოძებნის შესახებ, საწარმოო დანიშნულების ობიექტებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე.

უმოკლეს ვადაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განიხილავს ამ საკითხს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

დეპუტატებმა: ცქვიტინინიძემ და ვარდოშვილმა დასვეს საკითხი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობაზე დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობაზე გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების ათვისება ძლიერ ცუდად მიმდინარეობს, 11 თვის განმავლობაში მშენებლობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 65,5 პროცენტით. გასულ წლებშიაც ადგილი ჰქონდა დიდ ჩამორჩენას საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობაში. საჭიროა დეპუტატებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა ყოველი ხელი გაუწიონ მშენებელ ორგანიზაციებს ამ საქმის გამოსწორებაში.

დეპუტატმა გასიევმა დასვა საკითხი სასკოლო ინტერნატების მშენებლობის შესახებ. სასკოლო ინტერნატების მშენებლობა ხორციელდება სანბანო მშენებლობის თანხებიდან. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს სანბანო მშენებლობაზე კაპიტალური დაბანდებები უდიდდება 14,3 პროცენტით მიმდინარე წელთან შედარებით. სოლელო აღმასკომმა, თუ საჭიროდ მიიჩნევს, უნდა განიხილოს საკითხი სასკოლო ინტერნატების მშენებლობისათვის აღნიშნული კაპიტალური დაბანდებებიდან სათანადო სახსრების გამოყოფის შესახებ.

დეპუტატმა ლაშქარაშვილმა დააყენა საკითხი ზოგადსაგანმანათლებო სკოლების მშენებლობისათვის დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ. ამაგე დანიშნულებისათვის და აგრეთვე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებათა მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებების გადიდებას ითხოვენ დეპუტატები: გელაშვილი, გასიევი, ცქვიტინიძე, მანკგალაძე, ბოკია, ყანჩაველი და ამხ. ისმაილოვი.

მათ საყურადღებოდ უნდა განვაცხადო, რომ მიმდინარე წელს სკოლებისა და სანბავშვო ბაღ-ბაღების თერთმეტი თვის კაპიტალური დაბანდებების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 85 პროცენტით, ე. ი. დამკვიცებული გეგმიდან აუთვისებელი დარჩა 1,6 მილ. მანეთზე მეტი. უფრო ცუდი შესრულებაა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებათა მშენებლობაში. აქ შესრულების პროცენტი შეადგენს მხოლოდ 68,4 პროცენტს.

სასკოლო მშენებლობის გეგმის შესრულება 11 თვის განმავლობაში შეადგენს ავტონომიურ სს რესპუბლიკაში 59 პროცენტს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 79 პროცენტს, სამტრედიის რაიონში — 53 პროცენტს, ქარელში — 33 პროცენტს და ა. შ.

მომავალი წლისათვის განათლების დაწესებულებებზე კაპიტალური დაბანდებების გადიდების საშუალება ამჟამად არ მოიპოვება, მაგრამ ადგილობრივმა საბჭოებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ უფლება კაპიტალური რემონტებისათვის გამოყოფილი თანხებიდან საკლასო ოთახების მიშენების შესახებ და აგრეთვე საწარმოების ზეგეგმიური მოგებიდან სკოლებისა და სანბავშვო ბაღების მშენებლობის შესახებ. წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და ქმედითი დახმარება გაუწიონ განათლების ორგანოებს როგორც თანხების, ისე მატერიალური რესურსების გაღებით სკოლებისა და სანბავშვო ბაღების მშენებლობისათვის.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი წლის განმავლობაში, ისე როგორც წინა წლებში ხდებოდა, — შესაძლებლობის ფარგლებში სახსრების გადანაწილება წესით გამოძებნის დამატებით თანხებს სკოლებისა და სანბავშვო ბაღების მშენებლობისათვის, თუ ამ მიზნისათვის გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებები დროულად იქნება შესრულებული.

დეპუტატების ლაშქარაშვილისა და ხუნდაძის მიერ დასმულ საკითხზე — ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებისათვის, სასკოლო და სანბავშვო ბაღებისათვის სპეციალური აეროკის დამზადების შესახებ — მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისში გამოყოფილია სპეციალური აეროკის ფაბრიკა, რომლის რეკონსტრუქციაგაფართოებაც ამჟამად მიმდინარეობს. ამ სამუშაოების დამთავრება გათვალისწინებულია 1966 წელს.

ეს ფაბრიკა გამოუშვებს პროდუქციას, რომელიც ძირითადად დაკმაყოფილებს ამ ინვენტარზე რესპუბლიკის მოთხოვნილებებს.

დეპუტატმა შინკუბამ თავის გამოსულაში აღნიშნა, რომ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტი № 6 მიმდინარე წელს არ იყო უზრუნველყოფილი ისეთი ძირითადი სამშენებლო მასალებით, როგორიცაა ლითონი, ცემენტი, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და სხვ.

1965 წელს მშენებლობის სამინისტროს გამოყოფილი ჰქონდა მასალები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მთელ მოცულობაზე არსებული ნორმების მიხედვით. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ მშენებლობის ობიექტები უმეტეს მასალების დიდ გადახარჯვებს, ამიტომ ცალკეულ ობიექტებზე მასალის უკმარისობაა.

ამხ. ბუხრაშვილი აყენებს საკითხს, რაა ტრესტ „ინკომშენს" სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად გადაეცეს საჭირო რაოდენობის სატვირთო ავტომანქანები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოყო სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს ზოგიერთი სამინისტროებისათვის და უწყებებისათვის სპეციალიზირებული ავტომანქანების გადაცემის საკითხს, რის შედეგადაც მიღებული იქნება სათანადო გადაწყვეტილება.

დეპუტატი გასიევი მოითხოვს, რომ საგზაო გასაყოფილებები უზრუნველყოფილი იქნან სათანადო ტექნიკითა და ავტომანქანებით.

თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 25 მარტის ბრძანებულებისა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის და რემონტისათვის გარკვეული ნორმით გამოიყენება საბჭოთა მეურნეობების, სატყეო-სამრეწველო მეურნეობების, სარემონტო ტექნიკური სადგურების, სამეწველო, სატრანსპორტო, მშენებელი საწარმოების და საძეურნეო ორგანიზაციების კუთვნილი სატვირთო ავტომანქანები, ტრაქტორები, სამშენებლო და საგზაო მექანიზმები.

შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ დეპუტატების შენიშვნები სავსებით სამართლიანია. რესპუბლიკის სამეურნეო საგეგმო კომიტეტს შემდგომშიც მოუხდება საწარმოო ობიექტების უფრო რაციონალური განლაგების ღონისძიებების დამუშავება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია; ჩვენს მოხსენებაში იყო აღნიშნული, რომ მომავალ წელს ექსპლოატაციაში შევა ახალი სამრეწველო ობიექტები თელავში, გორში, ცხინვალში, ხაშურში, ოგარაში და სხვაგან.

დეპუტატებისა და კამათში გამოსული ამხანაგების მიერ დაყენებულ დანარჩენ საკითხებს და წინადადებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეისწავლის და წარუდგენს მინისტრთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის ყველა მაჩვენებელთა დროულად დაყვანა საწარმოებამდე და მშენებლობებამდე, რათა უზრუნველყოფილი იქნას საწარმოებისა და მშენებლობების შეუფერხებელი მუშაობა მომავალი წლის დასაწყისიდანვე.

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის განხილვამ გვიჩვენა, რომ მასში გათვალისწინებულია რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ძირეული ინტერესები და შეგვიძლია გამოვთქვათ მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს სსრ მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვებენ ახალ ... წარმატებებს.

საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა[illegible]

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის

ვ. ს. ფრაპაპაძის საგოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ერთსულოვნად მოიწონეს საბიუჯეტო კომისიამ და კამათში გამოსულმა დეპუტატებმა.

სესიაზე ბიუჯეტის განხილვამ ცხადყო, რომ იგი მთლიანად უზრუნველყოფს იმ ღონისძიებათა დაფინანსებას, რაც 1966 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით არის გათვალისწინებული რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

საბიუჯეტო კომისიამ ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მონაწილეობით განიხილა 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი და სესიას წარუდგინა წინადადება დამტკიცოს იგი შემდეგი შესწორებებით:

— სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის საფინანსო გეგმის მაჩვენებლების დაზუსტებით გადიდდეს მოგების ანარიცხები რესპუბლიკურ ბიუჯეტში 1.136 ათასი მანეთის ოდენობით.

— გათვალისწინებულ იქნას სსრ კავშირის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს	112 ათასი მანეთი
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს	347
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს	61
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს	240
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს	80
საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს	537
საქმაგარკონსერვნილმოსტანს	400
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკურ-განათლების კომიტეტს	16
სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს	10

ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი 2.227 ათასი მანეთიდა ცალკეულ ბიუჯეტებს შორის განაწილება მოყვანილია საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რაც დარგდგული აქვთ დეპუტატებს.

ამ ცვლილებათა შეტანის შედეგად საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა გადიდდება 4.030 ათასი მანეთის ოდენობით და შადგენს როგორც შემოსავალს, ისე ხარჯების ნაწილში 996.073 ათას მანეთს.

მე დავალებული მაქვს მოგახსენოთ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საბიუჯეტო კომისიის ეს წინადადებანი და მიზანშეწონილად მიიჩნია მათი მიღება.

სესიაზე გამოსულმა დეპუტატებმა დააყენეს მთელი რიგი საკითხები, რომელთა შესახებ მინდა მოვახსენო სესიას.

ამხ. დავითაძემ მოითხოვა აჭარის ასსრ 1965 წლის ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის გეგმის შემცირება. უნდა მოგახსენოთ, რომ 1965 წლის ბრუნვის გადასახადის გეგმა, სასაქონლო ფონდებში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, უკვე დაზუსტებული და სათანადოდ შეცვლილია, რის შესახებაც აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროს გაგზავნა შეტყობინება.

ამხ. დავითაძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ აჭარის ასსრ რესპუბლიკის 1966 წლის ბიუჯეტის ზოგიერთი სახეობის შემოსავლის გეგმები გაზრდილია უსაფუძვლოდ.

მოგახსენებთ, რომ სანახევროთა გადასახადის გეგმა 1966 წლისათვის განაგარიშებულია კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს პროფსაბჭოს ავტორიზებული რესპუბლიკური ბიუჯეტის სახელმწიფო და პროფკავშირულ კიბოდანადგართა იმ შემოსავლის გეგმების საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია 1966 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით.

სატყეო შემოსავალი განსაზღვრულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ 1966 წლის სატყეფის ფონდის მიხედვით.

თუ სათანადო ორგანოები შეცვლიან სატყეფის ფონდებს, შესაბამისად დაზუსტებულ იქნება სატყეო შემოსავლის გეგმაც.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან გადასახადის გეგმა 1966 წლისათვის განსაზღვრულია სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული ხელფასის ფონდის ზრდასთან დაკავშირებით და საფუძველი არ არის შეიცვალოს იგი.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიუჯეტის ზემოაღნიშნულ სახეობათა შემოსავლის გეგმები რეალურად უნდა მივიჩნიოთ. მათი შესრულება უზრუნველყოფილ უნდა იქნას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებით და სისტემატური კონტროლის დაწესების გზით.

კამათში გამოსულმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბუხრაშვილმა, ამხ. დავითაძემ, დეპუტატებმა შინკუბამ, გელაშვილმა, გასიევმა, ცქვიტინიძემ, მანკგალაძემ, პაატაშვილმა დააყენეს საკითხი ქალაქების კეთილმოწყობისათვის დამატებით ასიგნებათა გამოყოფის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ ქალაქების, დაბებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის ღონისძიებებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი 1966 წლის ბიუჯეტის პროექტით საკმაოდ მსხვილი თანხებია გათვალისწინებული.

საბიუჯეტო კომისიის წინადადებით ამ მიზნებისათვის დამატებით გამოყოფილია ასიგნობანი, რომელთა გათვალისწინებით 1966 წელს, მომდინარე წელთან შედარებით, კეთილმოწყობის ხარჯები ორათუმცირდება, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში შესამჩნევადაც ორის გადიდებული.

დეპუტატმა პაატაშვილმა და ამხ. დავითაძემ დააყენეს საკითხი საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის ასიგნობათა გადიდების შესახებ აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და წალკის რაიონის დაბა ბედიანისათვის 1966 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნობანი საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებულია დაწესებული ნორმების მიხედვით და ადგილობრივი ბიუჯეტებით 2.227 ათასი მანეთის ოდენობით.

რესპუბლიკური ბიუჯეტით აღნიშნული 1.803 ათასი მანეთიდან დამატებით გამოეყოს:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს	112 ათასი მანეთი
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს	347
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს	61
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს	240
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს	80
საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს	537
საქმაგარკონსერვნილმოსტანს	400
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკურ-განათლების კომიტეტს	16
სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს	10

ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი 2.227 ათასი მანეთიდა ცალკეულ ბიუჯეტებს შორის განაწილება მოყვანილია საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რაც დარგდგული აქვთ დეპუტატებს.

ამ ცვლილებათა შეტანის შედეგად საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა გადიდდება 4.030 ათასი მანეთის ოდენობით და შადგენს როგორც შემოსავალს, ისე ხარჯების ნაწილში 996.073 ათას მანეთს.

მე დავალებული მაქვს მოგახსენოთ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საბიუჯეტო კომისიის ეს წინადადებანი და მიზანშეწონილად მიიჩნია მათი მიღება.

სესიაზე გამოსულმა დეპუტატებმა დააყენეს მთელი რიგი საკითხები, რომელთა შესახებ მინდა მოვახსენო სესიას.

ამ. დავითაძემ მოითხოვა აჭარის ასსრ 1965 წლის ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის გეგმის შემცირება. უნდა მოგახსენოთ, რომ 1965 წლის ბრუნვის გადასახადის გეგმა, სასაქონლო ფონდებში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, უკვე დაზუსტებული და სათანადოდ შეცვლილია, რის შესახებაც აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროს გაგზავნა შეტყობინება.

ამ. დავითაძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ აჭარის ასსრ რესპუბლიკის 1966 წლის ბიუჯეტის ზოგიერთი სახეობის შემოსავლის გეგმები გაზრდილია უსაფუძვლოდ.

მოგახსენებთ, რომ სანახევროთა გადასახადის გეგმა 1966 წლისათვის განაგარიშებულია კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს პროფსაბჭოს ავტორიზებული რესპუბლიკური ბიუჯეტის სახელმწიფო და პროფკავშირულ კიბოდანადგართა იმ შემოსავლის გეგმების საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია 1966 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით.

სატყეო შემოსავალი განსაზღვრულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მიერ 1966 წლის სატყეფის ფონდის მიხედვით.

თუ სათანადო ორგანოები შეცვლიან სატყეფის ფონდებს, შესაბამისად დაზუსტებულ იქნება სატყეო შემოსავლის გეგმაც.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან გადასახადის გეგმა 1966 წლისათვის განსაზღვრულია სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული ხელფასის ფონდის ზრდასთან დაკავშირებით და საფუძველი არ არის შეიცვალოს იგი.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიუჯეტის ზემოაღნიშნულ სახეობათა შემოსავლის გეგმები რეალურად უნდა მივიჩნიოთ. მათი შესრულება უზრუნველყოფილ უნდა იქნას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებით და სისტემატური კონტროლის დაწესების გზით.

ამ. დავითაძემ მოითხოვა ასევე, რომ ასეთი შემცირება გაუმართლებელი აღმოჩნდა და აღდგენა უნდა მოხდეს თანდათანობით — სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად. 1966 წლის ბიუჯეტთან ამ მიზნით გათვალისწინებულია 190 ბიბლიოთეკარის აღდგენა სოფლის კლუბებში.

ამ. ბუხრაშვილმა დააყენა საკითხი ქ. თბილისის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდის შექმნის შესახებ. ეს საკითხი განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და მხარს უჭერს ამ წინადადებას. საჭიროა იქნება უმაღლესმა საბჭომ ამ საკითხზე მიიღოს შესაბამისი დადგენილება.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების მიმართ და წამოაყენეს წინადადებანი, რომლებიც დამატებით შესწავლას მოითხოვს. ამ შენიშვნებსა და წინადადებებს განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, რაც დეპუტატებს ეცნობებათ.

